

**ალექსანდრე მღებრიშვილი**  
(საქართველო)

**ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების  
ერთი ფურცელი**

2018 წელს შესრულდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ოსურენოვანი გამოცემის 75 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, გვინდა გავიხსენოთ გიორგი ბესთაუთი, სრულიად ახალგაზრდა, 46 წლის ასაკში გარდაცვლილი ცნობილი ოსი პოეტი და მთარგმნელი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ უშუალოდ ქართულიდან ოსურ ენაზე მთარგმნელი.

გიორგი ბესთაუთის ძლიერ მხარეს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა წარმოადგენდა. ის 1932 წელს დაიბადა, ცხინვალის რაიონის სოფელ გოგიანთ-კარში. ბავშვობიდანვე ქართულ ატმოსფეროში აღზრდილს, არ გასჭირვებია, ოსურთან ერთად, ღრმად დაუფლებოდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მომდევნო წელს პირველი ლექსების კრებული, „გრიგალი“, გამოსცა. გ. ბესთაუთი 1952 წლიდან წერს ქართულად, მოგვიანებით კი ოსურ ენაზეც; ავტორია პოეტური კრებულებისა: „სიცოცხლის სიხარული“ (1962), „ლამე და დღე“ (1966), ქართულ ენაზე: „გულ მართალი“ (1964), „ლექსები“ (1970) და ა.შ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გ. ბესთაუთი უზრუნდება ცხინვალს და იწყება მისი შემოქმედებითი საქმიანობის ოსურენოვანი პერიოდი. იგი ინიშნება ყურნალ „ფიდოუაგის“ პოეზიის განყოფილების გამგედ. პოეტი აქტიურად ერთვება საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში.

1968 წლის 14 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში გამართულ პოეზიის საღამოზე შეკრებილმა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე მოისმინა. ოსურად გიორგი ბესთაუთმა ნაიკითხა საკუთარი თარგმანი. როგორც დამსწრეები იხსენებენ, მართალია, ოსური ენა ბევრს არ ესმოდა, მაგრამ გასაოცარი იყო ლექსის ზემოქმედების ძალა. დარბაზმა მქუხარე ტაპით დააჯილდოვა ოსი პოეტი და მთარგმნელი. „დიდი ზემოქმედება მოახდინა მსმენელზე თქვენმა თარგმანმა. მასში ორიგინალურად იყო შეხამებული გასაოცარი მუსიკალობა, მშვიდი ინტონაცია და ქარიშხლისებური დინამიზმი“, უთქვამთ ლექსის წაკითხვის შემდეგ თავის ადგილზე დაბრუნებული დეკლამატორისთვის (უსტიაშვილი 1987: 73-74).

ძირითად შემოქმედებით საქმიანობად გ. ბესთაუთისთვის სწორედ თარგმანი იქცა. თარგმნიდა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან, თავიდანვე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საქმეს. მუდამ გარკვეული შემოქ-

მედებითი ბრძოლის გადატანა უხდებოდა ორიგინალთან. ებრძოდა, ეძებდა ზუსტად შესატყვის ფორმებს და ამას აკეთებდა ისეთი ოსტატობით, ისეთი დახვეწილი სტილით, რომ სათარგმნელად აღებული თხზულება თითქმის ბოლომდე ინარჩუნებდა ეროვნულ სუნთქვას, დამახასიათებელ კოლორიტულ ფორმას, ბუნებრიობას. მთარგმნელი ახერხებდა ტექსტი ოსურ ენაზეც ბუნებრივად, მაღალი მხატვრული ოსტატობით აჟღერებულყო.

გ. ბესთაუთის მთარგმნელობითმა საქმიანობამ დრამატურგიაც მოიცავა. 1957 წელს დაიბეჭდა ოსურიდან ქართულად ნათარგმნი გ. პლიევის „ჩერმენი“. მომდევნო წლებში მას დაემატა ე. ბრიტაევის „ხაზბი“, ქართულიდან ოსურად ნათარგმნი ნ. არეშიძის „შვილები და რძლები“, ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ და მრავალი სხვ. პარალელურად, გ. ბესთაუთი თარგმნის ილიას, ვაჟას, ი. გოგებაშვილის, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, შ. არაგვისპირელის<sup>1</sup> და სხვა ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო თხზულებებს.

„ოსი და ქართველი ხალხის მეგობრობის სამსახურში შენ არა ერთი ღამე გაგიტენებია, გიშრომია და გიღვანია. ამქვეყნად არაფერი დაკარგულა, მით უფრო საქმე და სიკეთე კაცისა. მაგრად გართმევ ხელს და დღეგრძელ სიცოცხლეს გისურვებ“ (უსტიაშვილი 1987: 78) წერდა გ. ბესთაუთს მორის ფოცხიშვილი.

1957 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ოსური პოეზიისა და პროზის ანთოლოგია. გ. ბესთაუთის თარგმანებმა უდავო ღირსება შესძინა ამ წიგნების მხატვრულ ღირებულებას. ამასთან, იგი გახლდათ სარედაქციო კოლეგიის წევრი გრ. აბაშიძესთან, შ. აფხაიძესთან და სხვებთან ერთად. ხსენებულ ნაშრომებში წარმოდგენილი იყო ბესთაუთისეული კ. ხეთაგუროვის, ა. კუბალთის, ნ. ჯუსოითის, მ. ნართიხთისა და ვ. ცხურბათის ლექსთა ქართული თარგმანები. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკმარად მაღალი დონის თარგმანების ავტორის საქმიანობა მხოლოდ ოსურიდან გადმოქართულებით არ შემოიფარგლებოდა. იგი აქტიურად იყო დაინტერესებული ქართველ მოღვაწეთა თხზულებების ოსურ ენაზე გადატანითაც. გ. ბესთაუთი თავდაუზოგავად შრომობდა, რომ ოსი ხალხისთვის ქართული უმდიდრესი კულტურის ერთი ნაწილი მაინც მახლობელი და მისანვდომი გაეხადა. ოს ხალხსაც შესძლებოდა ზიარებოდა ქართული ლიტერატურის შედეგებს. სწორედ ამ მიზნით ქვეყნდება ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილის“, გ. ლეონიძის ლექსების, ილია ჭავჭავაძის „განდევლის“, იოანე იალღუზიდის „იალღუზიანის“, აკ. ბელიაშვილის მოთხრობების, ს. ჩიქოვანის ლექსებისა და სხვათა მისეული თარგმანები. წარმატება ხვდა წილად გ. ბესთაუთის მიერ თარგმნილ ვაჟაფშაველას, ი. გოგებაშვილის, შ. არაგვისპირელის, ი. ევდოშვილის, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის... საუკეთესო მოთხრობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაღალი შეფასება მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან

1 გ. ბესთაუთის მიერ თარგმნილი თხზულებანი შესულია 1966 წელს გამოცემულ „ქართულ საბჭოთა მოთხრობებში“ (თარგმანები). ცალკე წიგნებადაა გამოცემული ი. ჭავჭავაძის „განდევილი“ (1960), გ. ლეონიძის ლექსების გ. ბესთაუთისეული თარგმანები (1960) და ა.შ.

150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში, დედაქალაქში, გ. ბესთაუთის მიერ ოსურ ენაზე წარმოდგენილმა „მერანმა“. „გასაოცარი მუსიკალობა“, „მშვიდი ინტონაცია“, „ქარიშხლისებური დინამიზმი“ – ასე ახასიათებდნენ „მერანის“ ოსურ თარგმანს.

გ. ბესთაუთის მოღვაწეობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართულ-ოსურ ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებას. ცხადია, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე შეუდგებოდა მუშაობას, ის მანამდეც განუწყვეტლად იღვწოდა ქართული და ოსური ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციების დასაახლოვებლად.

გ. ბესთაუთი საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს დაუზოგავად ახმარდა ქართველთა და ოსთა ისტორიული მეგობრობის განმტკიცებასა და ლიტერატურულ-კულტურულ წინსვლას.

და მაინც, ჩვენ ვთვლით, რომ ზემოთ მოხმობილი ფაქტები გ. ბესთაუთის შემოქმედების პირველი ეტაპი და ერთგვარი მოსამზადებელი საფეხურია მისი უფრო მომწიფებული შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

გ. ბესთაუთი იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ თარგმანზე მუშაობას. ბუნებრივია, მთარგმნელი გრძნობდა, ეს იოლი არ იქნებოდა. ის, თითქოს, წლების მანძილზე, გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისთვის: ძირფესვიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, ქართული კულტურის ძირითადი, მნიშვნელოვანი ეტაპები, ჩაუღრმავდა, საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას ...

„ვეფხისტყაოსნის“ ღირსეული თარგმანი ოსურ ენაზე გ. ბესთაუთამდე ფაქტობრივად არ არსებობდა. თუმცა, იყო ადრეული მცდელობანი ოსი პოეტების – ი. ხოზათის, ხ. ფლითის, ი. კაჩმაზოვის (კავკაზაგი) და მ. შავლოხოვის მხრიდან, მაგრამ, როგორც პროფ. ნაფი ჯუსოითი შენიშნავს – „ანგარიშგასაწვეი იყო ისიც, რომ ოსური კულტურის იმდროინდელი დონე რუსთაველის პოეტური ხელოვნების ოსურ ენაზე მთელი სისრულით გადატანის შესაძლებლობას არ იძლეოდა“ (უსტიაშვილი 1987: 87).

წლები შეაღია გ. ბესთაუთიმ „ვეფხისტყაოსნის“ ოსურად ამეტყველებას და თავდაუზოგავმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი ნათქვამის დასტურად, რამდენიმე ციტატას დავიმონწმებთ:

გიორგი ახვლედიანი: „მშვენივრადაა თარგმნილი და დედანთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სხვა...“ (უსტიაშვილი 1987: 98).

ალექსანდრე ბარამიძე: „თქვენ დიდი კეთილშობილური საქმე გასწიეთ „ვეფხისტყაოსნის“ ოსური თარგმანის პუბლიკაციით. მე კარგად ვიცი, რომ დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად, თქვენ ამ საქმეს ჩააქსოვეთ ქართული ენის ჩინებული ცოდნა...“ (უსტიაშვილი 1987: 99).

ლევან მენაბდე: „დიდი საქმისათვის მოგიკიდათ ხელი და უთუოდ დალოცვის ღირსი ხართ...“ (უსტიაშვილი 1987: 98).

ტარიელ კვანჭილაშვილი: „ვერ წარმოიდგენ, როგორ მასიამოვნე, შენი ხელით გაკეთებული წარწერა რომ წავიკითხე, თვალწინ დამიდექი მომღიმარე, ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით რომ შემომყურებდი. მინდოდა მართლა აქ

ყოფილიყავი, რათა გადაგხვეოდი და მაგრად, მამაკაცურად დამეკოცნე“ (უსტიაშვილი 1987: 99).

ოსი მწერალი მიხეილ ბულკათი: „ღმერთო, ნუთუ შეიძლება ორი ენის მუსიკათა შორის ზღვარის წაშლა და ერთი და იმავე აზრის, ორ ენაზე გამოთქმული ერთი აზრის, ორი ფორმის ასე ზუსტად დამსგავსება!“ (უსტიაშვილი 1987: 91)

დასასრულ, ორიოდ სიტყვით გვსურს გავიხსენოთ გ. ბესთაუთის გოგლა ლეონიძესთან ურთიერთობის ერთი საინტერესო მომენტი. 1960 წლის იანვარში გიორგი ლეონიძე ცხინვალს ეწვია. ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა გულთბილად უმასპინძლა სამოცი წლის იუბილარ პოეტს. მასპინძელთა შორის გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა ახალგაზრდა გიორგი ბესთაუთი, რომლის მიერ წაკითხული მისალმების შემდეგ გიორგი ლეონიძეს უთქვამს: „ასეთი ადამიანები ამტკიცებენ ჩვენი ხალხების ძმობასა და მეგობრობას...“ (ქართლი 1999: 1)

სამწუხაროდ, ადრე შეწყდა ნიჭიერი ოსი პოეტისა და მთარგმნელის, გ. ბესთაუთის შინაარსიანი სიცოცხლე, მაგრამ მან ქართველ და ოს ხალხთა შორის ძმობის და ურთიერთმეგობრობის ნიშნად დაგვიტოვა შესაშური ლიტერატურული ოსტატობით, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ოსური თარგმანი.

გ. ბესთაუთი უსაზღვროდ გაახარა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მინიჭებამ. სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მეუღლის ხელით, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელზე, მადლიერების გამომხატველი ბარათი გაგზავნა, რომელშიც წერდა: „ჩემთვის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატობის მონიჭება ახალი, გულუხვი გამოხატულებაა რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მწერალთა ზრუნვისა ოსურ ეროვნულ ლიტერატურაზე, ჩვენი ხალხების ისტორიული ძმობა-მეგობრობის განმტკიცებაზე, რომლის ერთგულ რაინდად მიგულეთ კვლავაც“ (მღებრიშვილი 2019: 95).

ასეთ ერთგულ რაინდად დარჩა გიორგი ბესთაუთი სიცოცხლის ბოლომდე.

#### დამონებანი:

Mghebrishvili, Aleksandre. *Tskhinvalis Lit'erat'uruli da K'ult'uruli Tskhovrebis Ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba "universal", 2019 (მღებრიშვილი, ალექსანდრე. *ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019).

Mghebrishvili, Aleksandre. *"Shida Kartlis K'ult'urul-saganmanatleblo Tskhovrebis Ist'oriidan"*. Tbilisi: gamomtsemloba "universal", 2013 (მღებრიშვილი, ალექსანდრე. *შიდა ქართლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013).

Ust'iashvili, Nino. *Giorgi Bestauti*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1987 (უსტიაშვილი, ნინო. *გიორგი ბესთაუთი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1987).

*Zhurn. "Kartli"*, 1999, №1 (*ჟურნ. „ქართლი“*, 1999, №1)

**Aleksandre Mgebrishvili**  
**(Georgia)**

## **One Page from Georgian – Ossetian Literary Relations**

### **Summary**

**Key words:** Giorgi Bestauti, ossetian translator.

The year 2018 marked the 75<sup>th</sup> anniversary of the first translation of the “Knight in the Panther’s Skin” into the Ossetian language. The name of Giorgi Bestauti, a famous Ossetian poet and translator, a laureate of Ivane Machabeli Prize, a translator of the Shota Rustaveli “Knight in the Panther’s Skin” poem from Georgian into Ossetian, is closely connected with the mentioned date.

In fact, no translation of the “Knight in the Panther’s Skin” in Ossetian existed before the translation of Giorgi Bestauti. However, there were early attempts of Ossetian poets, like I. Khozati, Kh. Pliti, I. Kachmazovi (Kavkazagi) and M. Shavlokhov to translate the poem, but, as professor Napi Jusoit notes – “It is noteworthy, that the level of Ossetian culture of that period did not give the ability to translate the poetic art of Rustaveli into Ossetian language with complete preciseness”.

One interesting moment of relationship of Giorgi Bestauti with Gogla Leonidze is mentioned in the paper. Giorgi Leonidze visited Tskhinvali in January 1960. The Tskhinvali State Theatre welcomed the 60-year-old poet warm-heartedly.

Unfortunately, the life of talented Ossetian poet and translator Giorgi Bestauti came to an end at an early age, but he left the Ossetian translation of Shota Rustaveli the “Knight in the Panther’s Skin”, performed with literary prowess on a high professional level as a token of brotherhood and friendship between Georgian and Ossetian people.